



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 08.06.2021 წლის #042/19¹
 გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

თამარ გეგეშიძე (სტუდენტი)

ფაქტები

საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა სასამართლოში მიმდინარე საქმეზე მორიგების აქტის შედგენის დროს, საჩივრის ავტორს არ განუმარტა მორიგების აქტის შინაარსი და მორიგების აქტის საფუძველზე ანდერძის გაუქმების სავარაუდო შედეგები. საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ მას საერთოდ არ სურდა საქმის მორიგებით დასრულება. ასევე, საქმის დასრულების შემდეგ ადვოკატმა საჩივრის ავტორს არ გადასცა თავისი დოკუმენტები და სასამართლო განჩინება, არ გადასცა სასამართლოს მიერ დაბრუნებული სახელმწიფო ბაჟი ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანამდე. საჩივრის ავტორი, აგრეთვე, უთითებს, რომ ადვოკატი მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან ერთად ერთ ოფისში საქმიანობდა და ასრულებდა საჩივრის ავტორის ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედებებს, მათ შორის, ადვოკატმა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან ერთად შეადგინა კანონსაწინააღმდეგო მორიგების აქტი. საპროცესო კოლეგიის სხდომაზე გამოკითხულ იქნა მოწმეები. მოწმეთა ერთი ნაწილი წარმოადგენს საჩივრის ავტორთან დაახლოებულ პირებს, რომლებიც ადასტურებენ, რომ ადვოკატმა საჩივრის ავტორს ანდერძის გაუქმების შესაძლებლობის შესახებ არაფერი აუხსნა, აგრეთვე, ადვოკატი საჩივრის ავტორს დოკუმენტებს არ აძლევდა გასაცნობად. ადვოკატმა საჩივრის ავტორს ხელი მოაწერინა მორიგების აქტზე ისე, რომ არ განუმარტა აქტის შინაარსი. ერთ-ერთი მოწმის ახლობელმა კი ნახა როგორ მუშაობდა ადვოკატი საჩივრის ავტორის მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან ერთად ერთი ოფისის ერთ ოთახში. მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი უარყოფს ადვოკატთან ერთად ერთი ოფისის ერთ ოთახში მუშაობას. ადვოკატი განმარტავს, რომ საქმის მორიგებით დასრულება იყო საჩივრის ავტორის სურვილი. მას არაერთხელ განუმარტა მორიგების აქტის პირობები, მისი თანდასწრებით შედგა მორიგების აქტის პროექტი. საჩივრის ავტორმა თავად მოაწერა ხელი მორიგების აქტს. ადვოკატის განმარტებით, საქმის მორიგებით დასრულების შემდეგ საჩივრის ავტორს გადაეცა მიღებული გადაწყვეტილება და მასთან დაკავშირებული მასალები.

პროცესუალური ისტორია

საჩივრის ავტორმა მიმართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატის დისციპლინირება. საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური ღეჟნის აღძვრის თაობაზე კლიენტის ინფორმირების (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6), ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის (ეთიკის კოდექსი მუხლი 4.1 და 6.3) და საქმის მასალების/ფულადი სახსრების დაუბრუნებლობის (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15) ვალდებულებების შესაძლო დარღვევის ფაქტზე და საქმე განსახილველად გადაეცა განხილვის კოლეგიას.

სამართლებრივი შეფასება

დაარღვია თუ არა ადვოკატმა კლიენტისთვის დოკუმენტაციისა და ფულადი სახსრების გონივრულ ვადაში დაბრუნების ვალდებულება?

კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, 8.15 მუხლი). იმ მიზნით, რომ ყოფილმა კლიენტმა შეძლოს მისი უფლებების სრულყოფილად რეალიზება, აუცილებელია ადვოკატმა დაუბრუნოს კლიენტს მის

¹ <https://gba.ge/pdf/620e4f090805d.pdf/042.19.%20kerdzo%20sarekomendacio,%2008.06.21.pdf>

საქმეზე მოპოვებული დოკუმენტაცია. აღნიშნული ვალდებულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როცა საქმე ეხება ისეთ დოკუმენტს, როგორიცაა სასამართლო გადაწყვეტილება. ადვოკატის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს დაადასტუროს კლიენტისათვის დოკუმენტაციის დაბრუნების ფაქტი. ვინაიდან, ადვოკატი მხოლოდ ამ გარემოების უარყოფით შემოიფარგლა, ითვლება, რომ ადვოკატმა არ დაუბრუნა კლიენტს საქმის დასრულების შემდეგ დოკუმენტაცია და სასამართლოს განჩინება, რომელიც პირადად ჩაიბარა. დოკუმენტაციის დაბრუნების ვალდებულებასთან ერთად ადვოკატი ვალდებულია კლიენტს დაუბრუნოს ფულადი სახსრები, რომლებიც კლიენტს ეკუთვნის და ადვოკატმა ის მიიღო კონკრეტული დანიშნულებით. ასეთ თანხას მიეკუთვნება სახელმწიფო ბაჟი. სასამართლო განჩინების მიღებიდან 3 წლის და ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოსვლის შემდეგ ბაჟის დაბრუნება არ შეცვლის იმ ფაქტს, რომ ადვოკატმა გონივრულ დავაში არ შეასრულა კლიენტისათვის მასზე მინდობილი ფულადი სახსრების დაბრუნების ვალდებულება. რაც შეეხება მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან ერთ ოფისში მუშაობას, უნდა აღინიშნოს, რომ ადვოკატს არ დაურღვევია ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულება. საქმეში არ არსებობს მტკიცებულება (გარდა ორი საპირისპირო მტკიცებულებისა), რომელიც დაადასტურებს აღნიშნულ ფაქტს. მოწმის განმარტება ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით ვერ იქნება მიღებული, ვინაიდან მოწმე თავად არ შესწრებია ამ გარემოებას. მხარეთა ახსნა-განმარტებითა და საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ საჩივრის ავტორი ჩართული იყო მორიგების პირობების შემუშავების პროცესში და პირობებზე თანხმობას აცხადებს ხელმოწერით. აქედან გამომდინარე, არ იკვეთება მორიგების პირობების შესახებ კლიენტისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობა. მორიგების აქტის შინაარსის გაცნობა კი, თავის მხრივ, გამორიცხავს საჩივრის ავტორის არაინფორმირებულობას მორიგების სამართლებრივი შედეგების თაობაზე. შინაარსის შესახებ ინფორმაციის მიწოდება არ უნდა იქნას განხილული მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით, ის „ასევე, გულისხმობს კლიენტისთვის სამართლებრივი რისკების გაანალიზებას. მორიგების აქტში გათვალისწინებული იყო ანდერძის გაუქმების პუნქტი და კლიენტი იცნობდა აქტის ამ ნაწილს. რაც შეეხება მორიგების აქტის კანონსაწინააღმდეგობას, აღნიშნულის შემოწმება სასამართლოს კომპეტენციაში შედის.

დასკვნა

ადვოკატის მიერ დარღვეულია კლიენტისათვის დოკუმენტებისა და მასზე მინდობილი ფულადი სახსრების დაბრუნების ვალდებულება (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15), რომლის საფუძველზეც ადვოკატს დაეკისრა დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება-კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.